



№ 33

20 ღვინობისთვის 1913 წ.

მიიღება ხელის მოწმობა

წლიური ცვასი

== 3 მან. ==

წლის დამლევ მდე 60 კ.

საქართველოს საზოგადო. ეკონომ.

მიზრი და სალიტერატურო შუანსლი

წელიწადი მემორა

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 10-1 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ მ ვ ი :

საქართველოს ახალი

ეკონომისი. — ა — ისა.

სახელმწიფო სათათ-

ბირთ და ნაციონალური

საკითხი. — ნ — ისა.

ეკონომის კოშკი. — ეკონომისა.

მოსხლე. — ი. სონლულაშვილისა.

ორი ილია. — რ. გაბაშვილისა.

ეპოქები და ქრო-

სტიკანთა სისხლი. — გ. — ძესი.

ფოთი და ნ. ნიკო-

ლაძე. — რიონელისა.

ფინანსდის სკიპის

იუბილეი. — ნარისა.

სრულიად რუსეთის

მეფუტკრეთა კრება ქ.

კიევი. — მეფუტკრესი.

„სახალხო გაზ.“ ახალი

სიტუა. — გ. გ. — ისა.

სასანთა საკითხი იერიდიულ საზოგადოებაში.

## საქართველოს ახალი ეკონომისი

საქართველოს ეკონომისის დანიშნვის შესახებ ბრძანება უკვე გამოცხადდა და სინოდის სფეროები დროებით დამშვიდდნენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ დანიშნაზე, სფეროებში დიდი ბრძოლა იყო და კანდიდატის არჩევას დიდი ხანი მოანდომეს, თავის თავად მოწმობს, რომ სინოდს ქართულ ეკლესიის შესახებ ერთი მტკიცე აზრი არა აქვს. ეჭვი არ არის, სინოდის ეპისკოპოსნი სხვა და სხვა წინააღმდეგი აზრისანი არიან ქართულ ეკლესიის საკითხზე. რა ნაირი არიან ის იდეები, რომლებიც იბრძვიან იქა, ჩვენთვის გამოუცნობია და ვერც იმას ვიტყვი, ჰყავს თუ არა საქართველოს ეკლესიის

დამცველები სინოდალურ წრეებში საზოგადოთ, მაგრამ ის ფაქტი, რომ კანდიდატის ძებნას დიდი ხანი მოანდომეს და ვიდრე ეპისკოპოსს აღექსიზედ შესთანხმდებოდნენ, მრავალი კანდიდატურა იქმნა უარყოფილი, მაჩვენებელია, რომ მოსალოდნელია მდგომარეობის შეცვლა თუ საუკეთესოდ არა, საუარესოდ მაინც.

ახლად დანიშნული საქართველოს ეკონომისი აღექსი უკვე საქართველოსკენ მოემგზავრება და, თუმცა თავის ახალ სამწყსოს მიწა-წყალზედ ჯერ ფეხი არ დაუდგამს, უკვე შარიდგან გვითვლის: „მე მომაქვს თქვენთვის არა მახვილი, არამედ მშვიდო-

ბაო“. საქართველოს კათოლიკოსების ტახტი ღირსია, რომ ვინც მაზედ ავა, სწორედ ამ სიტყვებით ხელმძღვანელობდეს და ჩვენც მეტი არა დაგვრჩენია რა — საქართველოს პირველ მღვდელ-მთავარს აქედანვე შევუთვალეთ: „მშვიდობა მობრძანებასა თქვენსა“.

ჩვენ არა გვსურს წინ უყელოთ მღვდელ-მთავრის მომავალ მოღვაწეობას და სკეპტიკურად შეეცხოთ მას. მაგრამ იმ სიტყვებში, რომელსაც ამბობს გზა და გზა ახალი ეგზარხოსი, არის ისეთი რამ, რომელიც ერთის მხრივ განცვიფრებას იწვევს, მეორე მხრივ აუცილებელ განმარტებას მოითხოვს. ეგზარხოსმა ალექსიმ განაცხადა: კავკასიის ერთთვის მე ვიქმნები მიუდგომელი მამა, როცა კი ისინი მომმართავენ მღვდლვარე კითხვათა გარდასაწყვეტადაო. ეს სიტყვები თავისთავად სარწმუნონი არიან, მაგრამ ჩვენ არ გვესმის რომელ კავკასიის ერებზედ ლაპარაკობს ის პირი, რომელიც ამიერიდან საქართველოს ეგზარხოსის მაღალ ტიტულს ატარებს? რამდენადაც ჩვენ ვიცით, კავკასიაში სამი მთავარი რელიგია არის: მუსულმანური, სომეხ-გრიგორიანული და მართმადიდებელი. პირველი ორი სარწმუნოება დამოუკიდებელია დასაეკლესიო საკითხებში ექვემდებარებიან მარტო თავიანთ სასულიერო მთავრობათ. მესამე კი — მართლმადიდებელი სარწმუნოება შეეხება par excellence ქართველობას და პირველი მღვდელ-მთავარიც იმიტომ ატარებს საქართველოს ეგზარხოსის ტიტულს. ასეთ განმარტების შემდეგ, რომლის ძალითაც ეგზარხოსი ალექსი გამგეა ივერიის ეკლესიისა, ცხადია, ზემო მოყვანილი სიტყვები არვის დააკმაყოფილებს. ნათქვამი არ არის ის, რაც ყველაზედ უპირველესად უნდა ეთქვა მღვდელ-მთავარს. ჩვენის აზრით ეგზარხოსს ნათლად უნდა ეთქვა ის, რომ იგი მოდის მიტომ, რომ მოუტანოს მშვიდობა საქართველოს ეკლესიას და არა „კავკასიის ერთა“, რომელიც ამ შემთხვევაში არავითარ საეკლესიო ცნებას არ გამოხატავს, იმიტომ რომ კავკასიის ერთა რელიგიური სიჭრელე ისეთივე ფაქტია, როგორც ეტნოგრაფიული. ეგზარხოსის ასეთ სიტყვებს მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა და საქართველოს ეგზარხოსის ავტორიტეტიც მაშინ იქმნებოდა საჭირო „კავკასიის ერთათვის“ როგორც სახელმწიფო და გაბატონებულ რელიგიის წარმომადგენელსა, თუ კავკასიის ერთა შორის რელიგიური შუღლი და გაუტანლობა იქმნებოდა. მართლმადიდებელ ეკლესიის წარმომადგენელს მაშინ მართლაც შეეძლო თავისი მისიის ასრულება

რელიგიურ ნიადაგზედ მებრძოლ და გაფანტაკოსებულ მეზობელ ერთა სარწმუნოებრივ ცხოვრებაში ჩარევით. მაგრამ ასეთი რამ არ არსებობს და რადგანაც არც კავკასიის ყველა ერები შედიან საქართველოს ეგზარხოსის სამწყსოში, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ვიფიქროთ, რომ უფრო სამართლიანი და მიზან შეწონილი იქნებოდა მღვდელ-მთავარს ზემო-აღნიშნული სიტყვები საქართველოს ეკლესიასა და ქართველების შესახებ ებრძანებინა. კავკასიის ერებს დიდი ხანია მოწყობილი აქვთ თავიანთი საეკლესიო საქმენი და მათ რიცხვში მხოლოდ ქართველები არიან, რომ განიცდიან საეკლესიო დევნას.

ეგზარხოსის განცხადებაში არის კიდევ ერთი ადგილი, რომლითაც იგი სრულ სოლიდარობას უცხადებს საეკლესიო საკითხებში განსვენებულ ეგზარხოს ინოკენტის. მაგრამ რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ აქედან? ამ განცხადებიდან ჩვენთვის ფრიად ძნელია რამე სანუგეშოს წარმოდგენა, რადგანაც, როცა ახალი ეგზარხოსი განსვენებულ ინოკენტის სოლიდარობას უცხადებს, ამით ის ქართველ სამწყსოს ისეთ ამოცანას აწვდის, რომელიც გამოუცნობელის საშუალებით უნდა გამოვიცნოთ. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული ინოკენტი სინოდის წრეებში შემარცხენედ ითვლებოდა და მთელმა ლიბერალურმა რუსეთმა მის ცხედარს ცხარე ცრემლები დააფრქვია, საქართველოს ეკლესიისთვის არავითარ ნუგეშს არ წარმოადგენდა.

ა—ი.

## სახელმწიფო სათათბირო და ნაციონალური საკითხი

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნაციონალური საკითხი რუსეთში დღითიდღე მწვავედება, და ხშირად მას ცხადი ავადმყოფური ელფერი სდევს, რადგანაც რუსეთის არასახელმწიფო ერების თვით-შემეცნების ბურჟოაზიზმად და მათი მისწრაფება კულტურულ თვით-გამორკვევისადმი სსიტკა წინ აღმდეგებას განიცდის „სახელმწიფო ერის“ ეგრედ წოდებულ ზოფოდაციურ ნაციონალიზმის წარმომადგენელთაგან.

სად მაგვიყვანს ჩვენ ეს ახლო მომავალში — ძნელია წარმოსადგენია, ჩვენ მხოლოდ უნდა მივსაღმოთ ელ-

ველ დაწვებულებას, რომელიც მიმართულია საზოგადოებისთვის ნაციონალური საკითხის უოველმხრივი განხილვის, და სამართლიანად გადაწყვეტისაკენ.

ამ მხრივ საინტერესო ცნობას ვაძლევთ უკრაინულ კახეთ „რადა“-ში, რომლის თანამშრომელსაც ელავანკანია სსხ. სათ. შრომის ჯგუფის თავმჯდომარე ძიუბინსკისთან.

„ჩვენ გვინდა, — უთქვამს ძიუბინსკის, — შევკრიბოთ ვრცელი და დაწვრილებითი მასალა რუსეთში სხვა და სხვა ერთგების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, სახელმწიფო განხილვა მათთან დამოკიდებულებასკენ, ზომებსკენ, რომელსაც აღმინისტრაცია ხმარობს ნაციონალური შიძინების წინააღმდეგ, მეზობლად ან ერთს ტერიტორიასკენ მცხოვრებ ერების ერთმანეთთან დამოკიდებულებასკენ, მოსალოდნელ ან უკვე არსებულ ანტიგანიზმსკენ მათ შორის, ნაციონალურ ორგანიზაციებსკენ, კერძო და საზოგადო მიმდინარეობასკენ და სხვა. ამის გამო შრომის ჯგუფმა დაუტყაფა არასახელმწიფო ერების ნაციონალურ ჯგუფთა წარმომადგენლებს საანკეტო ფურცლები.

„მთელს ამ მასალას ჩვენ შევიმუშავებთ და მოვაშუქავთ არასახელმწიფო ერების წარმომადგენელთა მომავალ კონფერენციისთვის. ამ საქმეში შრომის ჯგუფი იღებს თავის-თავსკენ მხოლოდ ინიციატივას და არა ხელმძღვანელობას, რადგანაც უკვე თვით წარმომადგენელთა საქმეა ერთმანეთში შეთანხმება. ჩვენთვის ცხადია, დღის სინათლესაკით, რომ ნაციონალური საკითხი რუსეთში უდიდესი და უმწვავესია, სათათბიროს ჯგუფები კი იმას გაურბიან. ჩვენ ჩვენის მხრით გვგანია, რომ მიუხედავად ნაციონალურ კონფლიქტისა, უთანხმოებისა და შტრახისა, როგორც მაგ. პოლონელებსა და ებრაელებს შორის, ან თათრებისა და სომხებისა, შინც ამ ერების პრაგმატიული და დემოკრატიული ელემენტებს ცალკე საკითხებში შეუძლიან შეთანხმება. ამ შემთხვევაში შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური საკითხის გამოარკვევას, რადგანაც რუსეთის საზოგადოებას ნაკლებად იცნობს, რას წარმოადგენს ეს თუ ის ერი, რითი სცხვარობს, საითკენ შიასწრაფის, რა იდეური მიმართულებანი არსებობს მასში და სს.“

შრომის ჯგუფის აზრით ამისთვის საჭიროა საერთო პერიოდული გამოცემის დაარსება, ლექციების, რეფერატების მოწოდება და სს.

ერების შეერთების ფორმის შესახებ ძიუბინსკის გარკვეული პასუხი არ მიუცია, რადგანაც ამის წინასწარი თქმა შეუძლებელია. მისი აზრით, ეს ორგანიზაცია ემცხავს პირველ სსხ. სათათ. არსებულ ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირს. რასაკვირველია, ამ ორგანიზაცი

აში ადგილი არა აქვთ რეაქციონურ, კონსერვატიურ და იმისთანა ჯგუფებს, რომლებიც ნაციონალურ საკითხს უურადლებას არ აქტევენ.

ამ საკითხსკენ, არსებობს თუ არა თვით სათათბიროში შესაფერა ელემენტები, რომ შესდგეს ამ გვარი ერების კავშირი, დემუტატს უთქვამს, რომ ამ უამად ძნელია თქმა, თუ ვისგან შესდგება ეკავშირიო. პოლონელები ფიქრობენ მხოლოდ თავიანთ ეგოისტურ მიზნებსკენ, კადეტები, პრაგმატიკები და კლეზთა წარმომადგენლები ამ საკითხით თავს არ იტკიებენ. და ამ გვარ პირთებში, უნდა გამოვტყდეთ, სათათბიროს შეკავშირებულ ნაციონალური ჯგუფის ს. ორგანიზაციოდ ან ნი:დაგი არ არის, ან ჯერ შავისი დრო არ მოსულია.

6.

### უბარლის კომკი

მეფე ერეკლე შეეცოხა ერთს კახელს: — ვაჟკაცი! ერთი მითხარი შენს მარჯვენას რამდენი კაცი გაუფუტებია და შენს ხმალს რამდენი მტერი შემოაკლავა!

მარჯ ენით და ხმალით არც ერთი კაცი არ გამიფუტებია, მაგრამ ენით კი ძალიან ბევრიო — უპასუხა „ვაჟკაცი“.

ამ პასუხს, ამბობს ხალხის თქმულბა, ისე გაუზრახებია ერეკლე, რომ უბრძანა მხლებლებს თავის სასახლიდან ეს „ვაჟკაცი“ სამუდამოდ განედევნათ.

ეს ამბავი მომავონდა, როდესაც ამ რამდენიმე კვირის წინად სოფელ ყვარელში ვათვალისწინებდი იმ ისტორიულ კოშკს, სადაც დაიბადა ჩვენი მგოსანი ილია ჭავჭავაძე. მასთან გავიხსენე ბ. დავიწყებულის კორესპონდენციები ამ კოშკის შესახებ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზედ.

აქ ჩემთვის მართლაც ნათელი გახდა, რომ დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი თავის მარჯვენით კი არ უვლს ქვეყნის საქმეს აწამელ ენით და მოურიდებელ წერით ბევრს ეთლის საქმეს აფუტებს და აღნობს. თქვენ მტერს არ ეღირსოს იმის დანახვა, რაც თვალ წინ წარმოგიდგა სოფელ ყვარელში. „ისტორიული კოშკი“ წყალში ცურაობდა...

წისქვილის რუს ვებებრთელა წყალი შრიალით და გრიალით მალეობიდან ისე გაბრახებულად მიქანებოდა ეხოში, რომ სხვას ვერას იფიქრებდით,

გარდა იმისა, რომ ეს წყალი განგებ არის გად-  
მოგდებული მტრის ხელით კოშკის წასალეკად.  
წყალში ტოპვით ძლივს მიუვხლოვდი კოშკის  
„კარებს“

აქაც განსაცდელი მელოდა.

კიბის საფეხურები ისე ჩაზნექილან და დამ-  
პლად გამოიყურებოდნენ, რომ ასვლაზე წინ ცოტა  
შეეფიქრიანდი!

— აქეთ მხარეს, ბატონო, აი აქეთ, მარცხნივ  
აბრძანდით—მეუბნებოდა მხლებელი.

ავცოცდი საცოდავ მიმტვრეულ კიბეზედ და  
შევედი შიგნით.

პატარა ოთახში, სადაც პირველად აახილა თვა-  
ლი მგოსანმა, გამართული იყო ეგრედ წოდებუ-  
ლი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ერთი მაგიდა, ერთი სკამი, ერთი წიგნთსაც-  
ვი შკაფი.

კედელზედ უბრალო ორი ლურსმით მიკრული,  
უჩარჩოთ, ი. ჭავჭავაძის სურათი და მის ქვემოდ  
ჩამოკიდებული კომპლექტი ს.-დ. გაზეთისა (sic).  
გარშემო მტვერი, აბლაბუდა და მტვერი...

ამ სურათის ნახვამ სევდით ამივსო გული.  
მწარედ ვსდუმდი და ცრემლი მერეოდა თვალებში.

ფიქრობდი, მართალია, ღარიბები ვართ, მარ-  
თალია, საზოგადო საქმეებში უნარს მოკლებულ-  
ნი, მაგრამ ნუ თუ ისე გავლატაკდით და გავი-  
რეცხენით რომ პაწაწუნა ძვირფას განძისთვის ვერ  
მოგვივლია!

მაგალითად ვერ დავიჯერებ, რომ თვით ბ.  
დავიწყებულს, რომელიც, თუ არ ვცდები, წ.-კ. გ.  
სახ. თელავის განყოფილების კომიტეტის ერთ-ერ-  
თი წევრია, მით უფრო მთელ კომიტეტს მთელ კახ-  
ეთში 100 მან. მოკრეფა არ შესძლებიყოს და შემ-  
დეგი არ გაეკეთებინოს:

ილია ჭავჭავაძის სურათის ჩარჩოში და მინაში  
ჩასმა (5 მ.), მარმარილოს ფიცრის წარწერით კე-  
დელზედ მიკვრა (10 მან.), დამსხვრეული კიბის რე-  
მონტი (20 მან.), იატაკის, კარებების და ფაჯრე-  
ბის შეღება (40 მან.), კოშკის კედლების გარშემო  
აეთრად გაღესვა (25 მან.).

ან და რა ფული უნდა წისქვილის რუს გამა-  
გრებას, რომ მდინარეს არ წაალეკინოს ილიას  
კოშკი?

აქ მარტო საქმის და უნარის გამოჩენა უნდა.  
ხალხის გულ-გრილობის და კახეთის „სიღარიბის“  
მოყვანა გასამართლებელ საბუთად სრულიად უნია-  
დაგოა.

კახეთი ღარიბი ქვეყანა არ არის... და სირ-  
ცხილია იმის თქმა, რომ კახელმა არ შესძლოს  
თავის დიდებულ შვილის

დაობლებულ პაწია აკვნის მოვლა-შენახვა.

თუ ხალხი შეუგნებელია, თქვენ გააღვიძეთ;

არა ენით, არა უთავბოლო წერით, არამედ სა-  
ქმით.

ყვარლის კოშკის პატრონობა წ.-კ.გ. ს. თელა-  
ვის კომიტეტმა ასე უნდა ითავოს:

ბ. ბ., წაბრძანდით ჩაქუჩებით და ლურსმებით  
სოფ. ყვარელში და თქვენზედ ხელით გაასწორეთ  
ის კიბე, რომელიც იმ ისტორიულ ყვარლის  
კოშკს აკრავს და მიჰყავს ქართველი ერის სიამაყის  
აკვანთან. და ამ მაგალითით გაუღვიძეთ ხალხს მი-  
მალული წმინდა გრძნობები—გრძნობები ქართულ  
ეროვნულ საქმეების დაცვისა..

აი ასე კეთდება სახალხო საქმე და ასე შენდე-  
ბა ეროვნული შენობა.

ეკალი.



## მ ო ხ ე ღ ე

(ბლასკო იბანიესისა).

პოლიტიკურების საკანში მარტო ჟურნალის-  
ტი ხუნან იანიესი და იჯდა. ტახტზე გამოტილიყო,  
დამსკდარ ჭერისათვის თვალები მიეჩერებინა და  
ფიქრს მისცემოდა. „ამაღამ სწორედ სამი თვე შე-  
მისრულდება, რაც დამაპატიმრეს“, სთქვა გულ-  
ში პატიმარმა.

ცხრა საათი შესრულდა... ეზოში საყვირი და-  
უკრეს. ტალანებში მორიგეების ხმა ასტყდა. ყვე-  
ლას საძილედ იწვევდნენ. დაკეტილ საზოგადო  
საკნებიდან ყრუ ხმაურობა ისმოდა; გვეგონებოდა,  
მძინარე დევგმირი გრგვინავს და ქშინავსო. ძნელად  
თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ამ უსიტყვო ძველ  
მონასტერში, რომელიც, მეტადრე ვაზის შუქზე,  
საკმაოდ კარგა ირჩეოდა, ათასამდე კაცს ეძინა.

საწყალი იანიესი იძულებული იყო ცხრა სა-  
ათზე დაწოლილიყო. გაუთავებელი სინათლე თვა-  
ლებში უჭრიალებდა. გარს გულის გამაწყვლეტილი  
სიჩუმე სუფევდა: გვეგონებოდა საკაცეთი ამოწყვეტი-  
ლაო. აი რა ძვირად მახდევინებენო, ფიქრობდა  
პატიმარი. საბედისწერო იყო ჩემთვის ჩემი წერი-  
ლი. თითო სტრიქონი მისი თითო კვირით დაპა-

ტიმრებას უღრის, თითო სიტყვა კიდევ თითო დღით დაპატიმრებასაო.

იანიესს მოაგონდა, რომ სწორედ ამავე ღამეს ოპერის სეზონი იწყებოდა; მისი საყვარელი ოპერა „ლოენგრინი“ უნდა დაედგათ. თვალწინ ლოკები წარმოუდგა, შიგ არწიან აბრეშუმის კაბებში გამოწყობილ და ყელმოშიშვლებულ ქალებს ჰხედავდა. თმაში მდიდრული ფრთები ეკეთად, ბრილიანტები უელავდნენ.

— ცხრა საათია... მაშასადამე, გედი უკვე გამოჩნდა და ეხლა უთუოდ პარსიფალის შვილი თავის პირველ ნოტებს იღებს, ხალხი კიდევ გატაცებული უსმენს... მე კი აქა ვარ! თუმცა რა, მეცა მაქვს აქ თავისებური ოპერა!

სწორედ, რომ ოპერა იყო... ჯურღმულიდან ვაი და ვიში ისმოდა; მთის ყაჩაღი კვნესოდა; დღეს თუ ხვალ უნდა დაესაჯნათ. სხვა და სხვა ბრალსა სდებდნენ. დაჟანგებული გასაღებების ჩანჩხურასავით ჩხრიალებდა მისი ჯაჭვი.

— მა...მაო ჩვენო... რო...მელი ხარ... ცა... თაშინა... ღვთის...მშობლო... ქალწულო... გიხაროდენ...—გაიძახოდა ყაჩაღი მისუსტებული ხმით. საცოდავი ისეთი მოკრძალებით და წყნარად ამბობდა ამას, რომ გვეგონებოდათ, ბავშვი ლოკულობს და იძინებს დედის კალთაშიო. სიტყვებს სულ ერთ კილოზე იმეორებდა. ვერავისმა დატევამ ვერ ჩააჩუმა. ზოგს ეგონა, თავის დახსნა უნდა და თავს იგიჟიანებსო. მაგრამ ვინ რა იცის, იქნება მართლაც შერყეული იყო, იქნება თორმეტ თვეს ჯურღმულში ჯდომამ და მუდამ დღე სიკვდილის ლოდინმა იმოქმედა იმის სუსტ ტვინზე.

იანიესი სწყევლიდა ადამიანის უსამართლობას; გაცხარებულს სულ რაღაც ორიოდ სვეტი დაეწერა და ამის გულისათვის სასიკვდილოდ განწირულ ადამიანის ბოდვას ასმენინებდნენ და ისე აძინებდნენ.

უცხად თავის ტალანიდან ხმა მალლა ლაპარაკი და ფეხის ხმაურობა მოესმა.

— არა, მე ღამეს იქ არ გავატარებ,—ამბობდა კანკალით წვრილი ხმა.—რომელი დამნაშავე მე მნახეთ? მეც იუსტიციის სამინისტროს ისეთივე მოხელე ვარ, როგორც თქვენა... და ოცდაათი წელიწადია, რაც ვმსახურობ. აბა იკითხეთ, ვინ არის ნიკომედი? მე ყველა მიცნობს; ჩემზე გაზეთებშიაც კი სწერენ ხოლმე. ის ხომ არ მაკმარეს, რომ საპრობილეში მომთავსეს, ერთ რაღაც სოროსაც მაძლევენ, სადაც ტუსაღებსაც კი არა სვა-

მენ. ბატონ-ჩემს ვახლავარ! განა ამისათვის გამომიწვიეს? მე ავად ვარ და არ შემძლიან იქ ძილი. ექიმს დამიძახეთ! ექიმი მინდა!

ისეთი წრიზინა კილოთი თხოულობდა ექიმს ოცდაათი წლის ნამსახური კაცი, რომ ყურნალისტს ცოტა არ იყოს დააეიწყა თავის სამწუხარო მდგომარეობა და უნებურად გაეცინა.

შეუღდათ ერთი ყაყანი; გვეგონებოდა, რჩევა ააქეთო. ისე გაცხარებული ლაპარაკობდნენ. ხმები ნელ-ნელა ახლოვდებოდა. უცხად პოლიტიკურების საკნის კარი გაიღო და შიგ ოქრომკედმოვლებული ქული გამოჩნდა.


— დონ ხუან!—სთქვა ზედამხედველმა საკმაოდ ზრდილობიანი კილოთი,—ამდამ ამხანაგი გეყოლებათ... მაპატიეთ, მაგრამ ეგ ჩემი ბრალი არ არის. დილაზე თვითონ უფროსი მოუვლის. აბა, სენიორ, მობრძანდით!

სენიორს (ეს სიტყვა ცოტა დაცინვის კილოთი იყო ნათქვამი) ორი ტუსალი შემოჰყვა. ერთმა ჩემოდანი, და ბოღით წამოსასხამი და ჯოხები შემოუტანა, მეორემ პარკი, რომელსაც გარედან ვიწრო და დაბალი ყუთის მოხაზულობა ეტყობოდა.

— სალამო მშვიდობისა!—გაისმა მოკრძალებული ხმა, რომელიც იანიესს ასე ძალიან აცინებდა. სტუმარზე ქული მოიხადა: თავზე ძირში შეკრეპილი ქალარა თმა ჰქონდა; ორმოცდაათი წლისა იქნებოდა; ჩასუქებული სახე ვარდისფრად უღვიოდა; სერთუკი ნათხოვარს მიუგავა. მსხვილ ოქროს ძეწკვზე ბლომად ჩამოეკიდნა ჩანჩხურები, რომლებსაც ყოველ შენძრევაზე ჩხრიალი ვაჰქონდათ; თვალზე ხანდისხან ფოლადისებური ფერი გადაჰქრავდა ხოლმე. პირის კუთხეები ძირს დაჰშვებოდა და უღვაშები ორ წაქეულ კითხვით ნიშანს მიუგავდა.

ირ. სონდულაშვილი.

(დასასრული იქნება).



# ო რ ი ი ლ ი ა

მცხეთიდან რომ არავის შევეყვით 5—6 ვერსის იქით შეგხვდებათ საგურამოს ტაფობი, რომელიც დაცემულა პატარ-პატარა გორაკების შუა არავის ორთავ ნაპირზედ. მთელი ეს ტაფობი შეიცავს 12—15 ათას დენეტინა საუცხოვო მაწას, საუცხო-

ვო მდებარეობით და ჰავით, მას შუაზედ ისეთის სიმალლიდან ჩამოუბრის არაგვი—რომ თვით განგებას შეუქმნია თითქო ეს მხარე სამოთხისებურ მეურნეობისათვის. და აქი კიდევ ყოფილა თამარ მეფის დროს აქ გამოყვანილი ორი არხი—ერთი თბილისს მოდიოდა თურმე და მეორე აქვე იფანტებოდა სარწყავად. აქა-იქ ეხლაც დარჩენილა ნიშნები არხებისა და ერთგან ვეებერთელა აუზიც, საცა თევზებს ინახავდენ და ამრავლებდენ. მიდამო აყვავებული იყო ბალვენახებით და აქაური მოსავალი სხვა ადგილებსაც ჰკვებდა.

ეს იყო, დღეს კი საგურამო გაპარტახებულსა ჰგავს, აქა-იქ გაფანტული სოფლები—საგურამო წინამძღვარიანთ-კარი, ახალ-სოფელი, არაშენდა და კიდევ ბევრი, რაღაცა ქაჩალის თავზედ ამოსულს ბუჩქნარს მოგაგონებს. რამდენიმე მემამულეს ბალვენახი შორეულად მოგაგონებს გონივრულად შემუშავებულ მიწას, თორემ სხვა ყველაფერი პირველყოფილ, ადამისებურ დროს ემსგავსება. ის არაგვი, რომელიც სულს უნდა უდგამდეს ამ არე მარეს თავისი მადლიანი წყლითა, რომლის განუზომელი ძალა უნდა ამოძრავდეს ათას ძალოვან ელექტრონის მანქანებს, წისკილებს, ქარხნებს—დღეს არამტოუ უქმად ჩარბის მტკვარში—სწორედ ქირა და აქვს გადაქცეული მიდამოს, რადგან წყალდიდობას ჰგლეჯავს ყველურს და აღრჩობს და მშვიდობიანობასაც კი ნებას არ აძლევს ადამიანს ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლისას. თამარის დროის ხიდის ნარჩენები ეხლაც ატყვია არაგვს, და დღეს კი მთელ არაგვზედ ხიდი არსად არის და ხალხი იძულებულია ან ფონში სტოპოს და იხრჩობოდეს—რაც ძალიან ხშირი მოვლენაა აქა—ან ავჭალის ხიდზე უაროს 30 ვერსზედ, რომ, მავალითად, მცხეთაში მივიდეს მშვიდობით 4—5 ვერსის მაძილებელ.

მთელი საგურამო ერთ გვარს ეკუთვნოდა გურამიანთა—და ახლაც რამდენიმე სხვილ მემამულის ხელშია, ისე რომ გლეხებს თითქმის არ აქვთ საკუთრება და გასაკვირველიც არ არის, რომ მიწის შემუშავებას ისეთის გულის ყურით არ ექცევა იგი. უვიცობას საზოგადოდ და სამეურნეო ცნობების უქონლობას კერძოდ ისე მტკიცედა აქვთ გამდგარი ფეხი ამ სამეფოში, რომ პირდაპირ გაიკვირდებათ, რომ ეს ქვეყანა თბილისსა და რკინის გზას აკრავს გვერდში და გადაკარგულს გადამოთქმებისას კი წააგავს. ამისთანა და კიდევ სხვა ბევრი მიზეზით აიხსნება, რომ საგურამო ე' თვით ზუნე-

ბისაგან სამოთხედ შექმნილი ადგილი, ველურების სამეფოსა ჰგავს და ადამის დროის ტლანქი გუთნის მეტს აქ სხვა იარაღს არ დაუსერა. ძალოვანი და გულუფხვი მიწა ამით აიხსნება, რომ მეთორმეტე საუკუნეში არაგვი უფრო გამოყენებული იყო, ვიდრე მეოცეში.

ასეთი წარსული საგურამოსი იმდენად არის საყურადღებო, თუ რა პრაქტიკული დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან და ვეცდებით სწორედ ამის გამოკვლევას შეუდგეთ.

საგურამოს მებატონეთა შორის იყვნენ ილია ქავჭავაძე და ილია წინამძღვარიშვილი; ახლა ვიკითხოთ, ნუ თუ ეს ორი განათლებული მემამულე—ერთი მათგანი აღტურვილი ციურის ნიჭით პოეზიისა, მწერლობისა და გონება-მახვილობისა, კაცი ბუნებით ჰკვიანი და შეგნებული, ეროვნული იდეალით გატაცებული და ხალხის ჭირვარამის გამზიარებელი, მეორე—ილია წინამძღვარიშვილი, სულით გულით და საცხოვრებელით ზედ გადაგებული თავის სკოლაზედ,—ნუთუ, მეთქი, მათ არ დასტოვებს კვალი ამ ძვირფას ქვეყანაში—კვალი ეკონომიური კულტურისა?—თამამად ითქმის: არა! რა იყო და არის ამის მიზეზი? ამის მიზეზები ორგვარია: ერთი—ობიექტიური, სოციალ-პოლიტიკური, ესე იგი სრულიად გარეშე, როგორც სახელმწიფოსგან არამტოუ ხელის შეწყობა, არამედ დაბრკოლებაც ყოველგვარ კულტურულ საქმეში, რომელსაც ეროვნული ელფერი ადევს; და მეორე—ნახევრად სუბიექტიური: მესამოცე წლებში გამოსულ მოწინავე ხალხს და მოღვაწეებს მეტად ფართი და მეტად უღრანი ასპარეზი ჰქონდათ სამოქმედოთ, რომ ცხოვრების ყოველ მხარისთვის აერთვათ სწორი აღღო.

იმ დროს საქირო იყო ბრძოლა ბნელ უვიცობასთან, ბატონ-ყმობასთან და განათლების სიძულვილთანაც კი, და მთელი გონივრული ძალა, მთელი ენერჯია და ნიჭი ამ სიბნელის გაფანტვისაკენ იყო მიმართული. **სწავლა-განათლება** აი რა იყო უზბედური და უმადლესი ლოზუნგი და ამ განათლების პროპაგანდაში ისეთი მძლავრი საშუალებანი იყო ნახმარი მძლავრ და მოწინავე პირთაგან, რომ არამტოუ სრულიად დაიხრდილა ეკონომიური აღორძინება, სამეურნეო კულტურის გაღვიძება, თვით საგანმანათლებლო გასაქანი ისეთი გამოდგა, რომ დღეს მის ზედმეტობასაც განვიცდით. იმ დროს სრულიად მივიწყებული თუ არ იყო სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და საზო-

გადოდ ეროვნული მეურნეობა, მაინც და მაინც სულ ბოლოში იყო მოქცეული და ათასში ერთხელ თუ აღიძრებოდა ლაპარაკი ადამიანის ცხოვრების ამ მხარეზედ და ისიც როგორც მეორე, მესამე ხარისხოვანზედ. იქნებ ყველა ამას საფუძვლიანი მიზეზები და პირობანი ჰქონდა, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ დავინანოთ, რომ ეს მხარე ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა აქამდისაც დიდ უკუღმართობას განიცდის წინა თაობის წყალობით.

ილია ქავჭავაძე უკვდავი და დიდი მოამაგეა ჩვენი, იგი მამათ მთავარია იმ ეროვნული თვითშეგნებისა, რომელსაც ახალი საძირკველი ეყრება ახალის ცხოვრებისათვის. მან შეგვაყვარა სამშობლო უზენაესის სიყვარულით, მან დაგვისურათა და მოგვაგონა დიდებული წარსული, მან აგვიწერა ჩვენი ბუნების სილიადე—სიმშვენიერე თავის ცეცხლგონიერებით სავსე ლექსებში. მან და მისმა თანამოძმეთ განანათლეს ჩვენი ქვეყანა ჰუმანიურის, მეცნიერულის მისწრაფებით, მათ შეგვაერთეს ერთი ერთი გრძნობით და ღვაწლი მათი წარუშლელია... მაგრამ ამავე დროს არამცთუ საქართველოს არა შეემატა რა ეკონომიურაჲ, პირიქით უაღრესად დაძაბუნდა და დაეცა. ასევე დაემართა საგურამოსაც, საცა მგოსანს საკუთარ მშვენიერ მამულისათვისაც არ მოუვლია რიგიანად, არამცთუ სხვებზედ ჰქონოდა გავლენა.

ილია ქავჭავაძეს როგორც პოეტს, ბევრი უფიქრნია სილამაზეზედ - მართლაც მისი სახლი საუცხოვო ადგილასა სდგას და პირდაპირ საოცნებო მიდამოს გადასცქერის, როცა მზის წარმტაცი ჩასვლა და ამოსვლა გულს მალამოსავით ეფინება და მთვარის ჯადოსნური ნათელი თვით პოეზიის დედათ იქცევა. ნამეტნავად მშვენიერია გადასახედი თვით ილიას კაბინეთიღვან, საიდანაც მოსჩანს მთელი საგურამოს ველი, ვერცხლ მოელვარე არავი და მთები, მთები მიუწვდომელნი და ზღაპრულ მდეგეებით პირქუშნი... თვალი ვერ ძღება იქაურის სილამაზით, და რაც ბუნებას დაუკლია, ის პოეტს შეუვსია ლამაზი ხეებით, მყუდრო და მშვენიერი კუნჭულებით, ცივი წყაროთი და სხ. ერთი სიტყვით, ბუნებას და კაცს შეუქმნიათ ცოცხალი პოეზია, სურათი წარმტაცი თვალისათვის... მაგრამ იქვე მეურნეობის გულს რომ ჩაუკვირდეთ—გაგვიკვირდებათ: ბალი სადგეოროცა და ყვავილებისა, საფუტკრე ძველებური, ბევრი ბედლები, თავლები, ბაგები, სამზარეულნი, მანქანებიც კი, აუარებელი უსაქმო მოსამსახურე და სხვა და სხვა ე, ი. „Бар-


скія затѣи“, რუსები რომ იტყვიან და სხვა არაფერი. ისეთი მემამულე, რასაკვირველია, მაგალითად ვერ ეყოლებოდა იქაურ გლეხკაცობას და არც არა ყოფილა რა საგურამოში ამ მხრივ.

ეს ყველაფერი კიდევ აიხსნება სხვა და სხვა მიზეზით, მაგრამ არავგზედ რომ ხიდი არ არის აქამდის—ეს ყოვლად გაუგებარი ხდება—ნუთუ ილია ქავჭავაძე, რომელიც იმ ზომად განათლებული კაცი იყო, რომელსაც „ჰუმოპდა ჯარი სპათა“, რომელსაც ისეთი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში, ვერ შესძლებდა ხიდის გაკეთებას, თუ თავისი ხარჯით არა—თავისი დახმარებით მაინც საცა ჯერ არს და საზოგადოებაში, მემამულეებში და სხ. ჩვენ გვიკვირს, 20 მკათათვეს რომ, ეწვეოდა ხოლმე საქართველოს ინტელიგენცია და არავგზი სტოპავდა, ან ის ხალხი, გლეხობა, რომელსაც აქეიფებდა თურმე ბაღში ნუ თუ არც ერთხელ არ შეეხვეწებოდა: დიდო ილია; ხიდს აშენებ ინტელიგენციასა და ხალხს შორის, მოდი ბარემ არავგის ხიდიც გაგვიკეთე და ქვეყანას დაგვაახლოვე?

არ ვიცი რა უპასუხნია, ან რას უპასუხებდა ილია ხალხს ასეთ კითხვაზედ, მაგრამ ჩვენ კი გვიკვირს და გაგვიკვირბია.

აქედან რომ წინამძღვარიანთ კარში გადახვიდეთ უფრო სავალალო რასმე ნახავთ, მაგრამ მკითხველო, სადღეისოთ ესეც კმარა, მგონი, და შემდეგ იმასაც მოგახსენებთ.

რ. გ.



## ებრაელები და ქრისტიანთა სისხლი

ყოველდღიურ გაზეთებში უკვე დაწვრილებით იყო მოხსენებული და ეხლაც თითქმის ყოველ დღე იბეჭდება ღებეშები კიევიღვან მ. ბეილისის საქმის შესახებ, რომელსაც აბრალებენ, ქრისტიანი ბავშვი მოჰკლა იმ მიზნით, რომ მისი სისხლი ურიების სააღდგომო მაცისთვის (ხშიადისთვის) გაერია, რაც ვითომ ურიებს სჯულადა აქვთო. ამგვარი ცილისწამება მთელს ერსა ცხებდა ჩირქსა და აკი ამიტომ მთელი განათლებული რუსეთი და ევროპა გაოცებით შეხვდა ამ ბრალდებას და დაჰგმო იგი.

რა გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო ამ საქმის შესახებ, ამას ახლო მომავალი გვიჩვენ-

ნებს, მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ რიტუალური, სარწმუნოებრივი მკვლევლობა აქ არაფერ შუაშია და ამგვარი ბრალდების ურიებისთვის თავს მოხვევით სარგებლობენ მხოლოდ ბნელი და არა საიმედო პირები. რამდენადაც გაზეთებში გამოქვეყნებულ ამბებიდან მახსოვს, ამ ორი წლის განმავლობაში რუსეთში თოთხმეტი ბავშვის რიტუალური მკვლელობა მოხდა! ექვსი ვაჟისა და რვა ქალისა: რასაკვირველია, ღვთის მადლით, ყველა ეს რიტუალის მსხვერპლი—ბავშვები სრულიად უვნებლად და მშვიდად სცხოვრობენ ამ ჟამად თავიანთი მშობლების სახლებში, მაგრამ ეს სრულებით არ უშლიდა ბნელ ძალებს ხელს ურიებზედ ამისთანა ცილისწამებანი გავერცელებინათ. და თუ ვინმე შენიშნავდა, ბავშვი სრულიად უვნებლად ვნახეო, „აღბად ურიებს შეეშინდათ და დააბრუნესო“, უპასუხებდნენ. ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ კი იმავე ზღაპარს აითონ ხელ-ახლად გაიმეორებენ ხოლმე.

და აი ეს დაუსრულებელი ზღაპარი, რომელიც ყოველთვის თავიდან იწყება, საუკეთესო ფარს წარმოადგენს ბნელის ძალებისა და ადამიანთა ნაძირალებისთვის. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ყოველ უაზრო სისასტიკე-სიბინძურეს, ყოველ დანაშაულობას ბავშვის წინააღმდეგ ამ რიტუალს ამოაფარებენ ხოლმე.

ამას წინად სატახტო გაზეთებში ეწერა,—რომ ვილაც როსკიპს, ჩაესვა თავისი შვილები ნავში და წყლისთვის მიეცა. ბედზედ გემს შეენიშნა ბავშვები და ამოეყვანა, თორემ ის როსკიპი ურიებს აბრალეზდა იმათ მოტაცებას.

და განა იშვიათია ამისთანა შემთხვევები?

მახსოვს, ამ ერთი წლის წინად, გაზეთები რუსეთში ბევრსა ლაპარაკობდნენ ერთს რიტუალურ პირველ-კლასელს გიმნაზიელზედ, რომელიც სახლში ტანისამოს დაფრთხილი და სახე დაკაწრული მივიდა და უთხრა მშობლებს, რომ ურიებმა მომიტაცესო:—ძლივს დავახწიე, დედილო თავი, კინაღამ მთლად გამომაცალეს სისხლი.

მერე კი აღმოჩნდა, რომ ბავშვს „ჩვეულებრივად ეეშმაქნა,“ სახლში თურმე ეუბნებოდა გიმნაზიაში მივდივარო, და თითონ კი გიმნაზიის მაგივრად ტყეში დადიოდა და ჩიტებს იჭერდა. მაგრამ როცა ბავშვმა ნახა, რომ გაუგეს და თავს ვეღარ დააღწევს, ახალგაზრდა მონადირეს ვეღარაფერი ენახა თავის საშველად და „რიტუალურ ბავშვად“ გადაქცეულიყო. კალმის დანით დაეჭრა თავისი

პალტო, განგებ გაგორებულიყო მტვერსა და ტალახში, და ისე მიერბინა სახლში:

— დედილო, იცი, მე ურიებმა მომიტაცეს...

ამ ბოლო დროს კიდევ პეტერბურგელი მუშის, ვინმე კოზლოვის ბავშვზედ ნატაშაზედ ატყდნენ.

— შუა დღისას, შუა პეტერბურგში, ამ პატარა ქალიშვილთან მივიდა ვილაც ურია დედაბერი, შეუხვია თვალები, პირში ხელსახოცი ჩასწარა, ჩასვა ავტომობილში და სადღაც წაიყვანა, რომ რიტუალური მიზნით მოეკლა იგიო,—ამბობდნენ ნატაშაზედ.

მაგრამ ნატაშა სახლში დაბრუნდა და გამოირკვა, რომ ნატაშა სახეში ჰყოლიათ და წაუყვანიათ ვილაც ქალებით მოვაქრეებს.

ნატაშა უკანასკნელი რიტუალური ბავშვია წელსა, მაგრამ იგი არ იქნება სრულიად უკანასკნელი: ხომასე ადვილია ბეილისების ზურგს უკან ამოფარება! მაშ უმგზავს ადამიანებს რა დაუშლის, კიდევ ურიებს მოახვიონ ხოლმე თავზედ ყოველი თავისი საზიზღრობა ბავშვების წინააღმდეგ.

ყოველ ზნე-დაცემულს, რომელიც თავის ბავშვებს საროსკიპო სახლებში ჰყიდის, ყოველ სინდის წამხდარს, რომელიც ბავშვის ტანჯვითა სტკებება, და ყოველ უბედურს, რომელიც წყალს აძლევს უსაღსრობისა გამო თავისი შვილებს—შეძლება აქვს გაიმეოროს ეს ძველი მობეზრებული ზღაპარი:

— ბავშვი ურიებმა წაიყვანეს დასაჩხვლეტადაო.

თუმცა ჩვენთვის კი ყოველთვის ცხადი უნდა იყოს ამ ზღაპრის ნამდვილი სარჩული.

გ. — ძე.

## ფოთი და ნიკო ნიკოლაძე

ამ 20 წლის წინად პირველად ვიხილე ფოთი. იმ დროს იგი უფრო მოზრდილ სოფელს ჰგავდა, ვინემ ქალაქს. წუშუქ-ტაღახიანი ბნელი ქუჩები, სის ჰატარა სახლება, ჭუჭყიანი უშნო დუქნები, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, უძაღლოა, უფერული სახლი, ირგვლივ ჭაობები, შავ დღე და დამ დაუსრულებელად მოეუიხე ბაეკები, აი რა იყო იმ მდროს ფოთი! მხოლოდ ამაყად გადაშლილი რიონი, თავის ფართო სარკავან შეკრდით ამშვენებს უფერულ მიდამოს, და უნებლიედ გიდვიძება სსოფნაში აეტის და არგანავტების ზღაპრულ დროს.

შორით მოსხსნდა შავი ზღვის მრისხნე ტადლები, რომლებიც ეხეთქებოდა ბოლახის კედლებს და უბირებდა დამსხვრევს. იქ შორს თბლად მოსხსნდა ერთი გემი, რომელთანაც მიჭქონდათ საქონელი ნავით და ბარკსებით.

აი ეს იყო ფოთი, შავი-ზღვის სანთლავი ბოლახი, უმწეო დატაკი და ჭაობიანი; ფოთი შვედარა, უბატრონი და ბათუმით დახვრული.

ამ დღეებში შემთხვევას მომეტად კვლავ მქნახა ეს თდესლან სანთლავი ფოთი, დმერთო ჩემო! რა ხახა ჩემს თავლებმა! ნუ თუ ცხადია და არა სიზმარი! თილისმას გარდუქმნია იგი ამ ოც წელიწადში სუფთა, მშვენიერ ქალაქად. დამშრალა ჭაობები, დადუმებულა ბაუეების გაუთავებელი ეიუინი; ვრცელი და სწორი მოკირწყელები ქუჩები, ხისა და ქვის ორ სართულისაი დაშაზი და ფეროვანი სახლები, საქონლით სავსე შინით გადახურული რკინის ბახარი და კონტა დუქნები, შატარა წეალსადენი, ცხენის „კონკა“ და ელექტრონიო განთება,—აი რა ვნახე დღეს ფოთში! ქუჩებზე და ბულვარზე დადიოდა ღამაზად დასრული ფეროვანი ხალხი, რომლის სახეზე ჯანსილობა და კმაყოფილება იხატებოდა.

ნეტა ვინ მოახდინა სასწაული?! ვინ არის ის ჯადოსანი, რომ ღმტრ კაცოცხლას შვედარი ფოთი და გარდაჭქმნა იგი მშვენიერ ქალაქად?! ვინ ააყვავა დამშალა ჭაობში ეს საქართველოს ქალაქი და აქცია იგი შირველ ხარისხოვან ბოლახად, რომლის ნავთ-საყუდარი დღეს საესკა ოკეანის გემებით და რომლის საქონლის გატანა-შემოტანა უდრის წლიურად 100 მილიონ ფუტს?! ვინ აღძრა და აამოძრავა ფოთის სიციცხლის ძარღვი?!—ეს გახლავთ ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე.

და ვნახე ის ჯადოსანი... რიონის შირად მდლდ კოშკში იჯდა ლიტონად სქედ კანთან წიგნებში და დრმა ფიქრებს მისციემოდა. ფართო მაგიდაზე და გაეშალა რექები, დახაზული გეგმები, ის ფიქრობდა ელექტრო-ტუხნიკაზე, ის ოცნებობდა კოლხიდის მდინარეების ელექტრო-ფიკაციაზე და მით სრულიად დასავლეთ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის აყვავებაზე.

— ჩვენი ერის მომავალი,—ნივთიერი, სულიერი, სოციალური კეთილდღეობა მხოლოდ ელექტრონიში!— მითხრა მან ადფრთოვანებით. მისლმების შემდეგ.— ხომ იცი თუ რას წარმოადგენდა ამ ოცი წლის წინად საგოი! ის იყო საფრანგეთის სვანეთი, უდარიბესი, ჩამორჩენილი ქვეყანა, მაგრამ ბუნებამ მისცა ამ ბეჩავ ხალხს უამრავი სიმდიადრე, უხვი, უმრეტე ძალა; ესაა თერთი ნახშირი (la houille blanche), ჩანჩქრები და ჩქარი მდინარეები. დღეს მთელი სავთია მოფენილია ჰიდრო-ელექტრონიულ ხაშკებით, ელექტრონის ჩარხებით,

დიდრონი ქარხნებით და ფაბრიკებით. ჰიდრო-ელექტრონის უმრეტე და იაფმა ძალამ მოზიდა აქ საფრანგეთის მილიარდები. აწარმოვდა თერთი ხახშირი, დატრიალდა ეველვან ელექტრონის ჩარხი, აღორძინდა ათასგვარი მრეწველობა; გაიმართა წელში და გამდიდრდა დატაკი ხალხი; აყვავდა ნივთიერად სავთია, გახვითარდენ კულტურულად მისი მცხოვრები. ეგრევე სასწაული მოხდა ნორვეგიაში, სადაც აურებელ ტბების ურთიერთმოხრის მდინარეობამ მისცა ნორვეგიელთ ელექტრონის სახით რამდენიმე მილიონი ცხენის ძალა და მით აქცია იგი უბირველეს სამრეწველო ცენტრად, მდიდარ და მადლ კულტურულ ქვეყანად. ახლა გადახედე ჩვენს საქართველს! ახა მისი რუქა! შეხე, თუ რამდენი ჩანჩქერი და ჩქარი მდინარეები მოუცია ჩვენთვის ბუნებამ! ეს მილიონი ცხენის ძალა დაატრიალდება ჩვენში მილიარდებს; მთელი რუსეთის მრეწველობა აქ გადმოვიდოდა, ჩვენი მოხარვე შეიქმნებოდა. ჩვენი კი ვსარგებლობთ ამით? გვემის კი, თუ რა სიმდიადრე გვახვავია ირველივ? ჩვენი მხოლოდ ვგობთ, ვლანძავთ ერთმანეთს და ვღუპავთ... აი რა სანთლავი ვართ ქართველები!.. ახა რუქები და სურათები ხახე რა ჰიდრო-ელექტრონიული შენობები და ქარხნებია ნორვეგისა და სავთიაში! ხახე რა ხდება იქ! ახა, წიგნები და ჟურნალები ევროპულ ენაზე, თერთი ხახშირის და ჰიდრო-ელექტრო-ტუხნიკის შესახებ!.. ამ სიტუკებთან ერთად მან გადმოიღო იქვე თაროდან და გადმომცა წიგნები და ჟურნალები ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. თუმცა ამ 15 წლის წინად ევროპაში მოვალე სწავლა, თუმცა შვეიცარია-სავთიაში მოგზაურობის დროს ვნახე მრავალი ჰიდრო-ელექტრონიული ხაშენები და ქარხნები, თუმცა ამ საკითხს შემდეგაც ვადგუნებდი თავლუურს, მაგრამ რაც ახლა იმ კოშკში მოვიწმინე ამ შესაშარა შირისჯან, ბეგრა რამ იყო ჩემთვის ახალი. ჩემს თავს მოწაფეად ვგრძნობდი ამ მცნიერ-პროფესორის, ამ გონებით ბუმბურაზის წინაშე და გულდასრმით ვისმენდი მის ლექციას, ვისმენდი ამ ახალ, შესანიშნავ აზრებს და ვფიქრობდი: ნეტა რომელთა ჩვენი ერის და სამშობლოს უფრო ერთგული, სასარგებლო მოვეარული შევიდი! ეს ადამიანი, რომელიც ამ უქმე დღეს ჩაკეტილა თავის წიგნთსაცავში, იველვს მცნიერებას და ტუხნიკის ახალ აღმოჩენებს და ცდილობს მის განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში და მით ჩვენი საბრლო ერის გამდიდრებას და კულტურულ აყვავებას, თუ ის ჯგუფი ქართველ ისტელიკენტებისა, რომლებიც გომბენ ამ დიდებულ კაცს, ბეჭდავენ რადიკებს გახეთკეში და თავისი თავი ქართველი ერის წინამძღვრად და შატრონად მიანჩიათ. ამ დროს უნებლიედ გამახსენდა ის განჯაში, რომელიც ასტუქეს ამას წინად იმერ-ინებმა გახ. „იმე-

რეთში“ ამ დიდებული კაცის წინააღმდეგ და დუწვეს გამობა მის „ზოლიტიკას“. მამატიეთ და ამდროს ეს მატარა კაცები მეხვესა მატარა ფინიებად ამ სწილო-ბუმბურასის წინაშე. ისინი ჭეყევენ შორიდან, კუდის ქინინით, ეს კი მიაბიჯებს ამაყად თავის გზაზე, უდგამს სულს და ატოვებს მკვდარ ქალაქებს...

მე არ ვაჭარბებ როცა ვამბობ, რომ თუ თანამედროვე სათბა არა, მომავალი მანინგ დაიფასებს ამ იშვიათი კაცის ღვაწლს, ამ ერთადერთი ქართველის ინიციატივის შემოქმედებას, მძალე ნიჭს, იშვიათ ცოდნას, გამოცდილებას, უდრეკ ენერჯის და თავისებურებას. ეს კაცი, განთლებულ ევროპის უპირველეს სახელმწიფოებში დაიკავებდა ერთ უპირველეს ადგილს, ჩვენში კი მისი სოციალური ნიჭი და ენერჯია შთანთქა მარტოოდენ მატარა ფოთში. ჩვენში კი ჩვენმა „ქებულმა მამული-შვილებმა“ გააძევეს და გაამარტოვეს, მისცეს იგი უსამართლო მსჯელობებში და 70 წლის მოხუცს წაართვეს სახელი, მიაყენეს სულიერი სიმწარე და ნოთიერი შევიწროება...

ამ 6 წლის წინად საქართველოს ნაძირადებმა მართის სახელით სეგურამოს გზაზე მოჭკლეის დიდებული ილია; საქართველოს მესვეურის, 70 წლის მოხუცის წმინდა სისხლით მორწყეს წინამურის მიდამო. ქართველმა ერმა ერთიანად მუხლი მოიდრიკა დაადი მსხვერპლის წინაშე, დეჭვით და დასწვევლა ილიას მკვლელები. ახლა კიდევ სხვა მათ გვარნი აუხემდნენ მგორე დიდებულ ზირს, 70 წლის მოხუცებულს, დიდ ნიჭის და გასუთის საშუალებით ათასირებენ მის ზოლიტიკას და მიმართულებას, ჭკობენ და მასხარად იგდებენ მის საზოგადო მოფაწილებას, აბათილებენ საღმის თვალში მისს მოქმედებას და მით აძლევენ ხაღს ამ იშვიათ ადამიანს...

— კანს მოდით, ბატონებო! მესდგეით! კმარა! ნუ ესვრით წინაშეს მოხუცებულ ღამს! ნუ ჭკობთ სიმართლეს და ჭკმშარიტებს! გაახილეთ თვალი, ჩადით ფოთში, ჩახეთ ამ კაცის ნამოქმედარი, გაეცანით კარგად ნიკო ნიკოლაძის სულის კვოტას და მისწრაფებას, შემდეგ საჭკეთ მის ზოლიტიკაზე და მის მოქმედებაზე. მანამდე კი სირცხვილია და ბოროტმოქმედება ამ კაცის წინააღმდეგ ხმის ამოდება.

ბევრჯერ დავფიქრებულვარ და დღემდე არ მქონდა კარგად შეგნებული, თუ რათ აითუაღწუნა ჩვენმა ინტელიგენციამ საუკეთესო შვილი ნიკო ნიკოლაძე. ახლა კი მესმის. ნიკოლაძე და რუსეთში ჩასწავლი ინტელიგენცია არი ანტიზოლია, სულ სხვა და სხვა ტიპები. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპში ჩასწავლი, ევროპის იდეებით გაშესწავლული, ევროპის ტენიკა— ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, მრატეიკი და

საქმიანი. ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ სკოლის მონური სულით, ჩინოფიკური რუტინით და სხოლასტიკით გაუღუნთილი. ამიტომ ჩვენი ინტელიგენტები უმთავრესად არიან თეორეტიკები, მოტენე, აკადემიური მსჯელობის ხაღი. ამათი სფეროთ თბილი კაბინეტი, რბილი საკარძელი, უნიდაგო თეორიული მსჯელობა, მეტა-ფიზიკური მორალი და სხვა და სხვა მრტირულ-ზოლიტიკური ოცნება-ფანტაზიები. ნიკოლაძე კი უწინარეს უფლისა მუშაკია დაკომპილული ხელებით, ცხოვრების ტენიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტიკა, რეალურ-ზოლიტიკის მწარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარტეხილში ჩავრდნილი. ძალა უნებურად იტყვა ისე, როგორც უკარნახვის მას ცხოვრების სასტიკი სინამდვილე. ეს არ ესმის ჩვენს ინტელიგენციას და არც სურს შეიგნოს. ნიკოლაძის ასეთ მოქმედებას—ზოლიტიკას ჩვენ ცხოვრებაში უსუსური ინტელიგენტები ნათლავენ ოპორტიუნისზმად, ქვეუნიის დალატად და თვით ნიკოლაძის ეპიხიან რენეგატს, რუტინიორს და რეაქციონერს. ამ რიკად ნიკოლაძე აწარმოებს იმ ზოლიტიკას, რასაც დიდხანს აწარმოებენ ჩვენზე უფრო შეკნებული ერების—ზოლიტიკის და სომხების საუკეთესო წარმომადგენლები.

აქედან ამკარაა, რომ ნიკოლაძე და ჩვენი ინტელიგენცია, სულ სხვა და სხვა ზოლიტიკებზე დგანან, ცხოვრებას სხვა და სხვა ზირით უმხერენ და ერთმანეთის ზოლიტიკას გამოებენ. აქედან ჩნდება ანტიკონიზმი ნიკოლაძისადმი, მისი დეგნა და ქირდვა.

— „მე შემხდულეს, შემობორკეს საშუალება მეზრუნა უფრო დიდ და სერიოზულ საქმეების განხორციელებისთვის, უსამართლად ჩამავდეს მასუხის გებაში, თქვენი ქალაქის (ე. ი. ქუთაისის) წარმომადგენელი საგუბერნიო საქალაქო საქმეთა დაწესებულებაში ჩემი დაცვის ნაცვლად ჩემს მტრად გადაიქნენ და თავიანთი უკანონო განახებით დაჭკმეს საქალაქო დებულების მე-17 და მე-148 მუხლები და ეს ან შემცრების შედეგია, ან ბოროტგანხრახვის! წამოიძახა მწარედ ბ. ნიკოლაძემ ჩემთან საუბარის დროს და მის მღელვარე ხმაში მოსწინადა სულის ბოღმა და ის მკაცრი უსამართლობა, რომელიც დაატუდა თავზე სიბერის დროს ამ მარტოდ მდგარ დიდბუნებოვან ადამიანს. — „ეჭ, ძნელი არის მარტობა სულის, მას ელტვიან სიამენი სოფლისა“, ბძანა დიდმა სულმანთმა ნ. ბარათაშვილმა და ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია ობლად, ლიტონად მდგარ ნ. ნიკოლაძეზე, რომლის სულის კვოტება და მისწრაფებანი ვერ შეუგნია ჩვენს ინტელიგენციას. ამ შემთხვევაში ჩვენმა ხაღმმა ბევრად მეტი ადლო გამოიჩინა, ვიდრე ინტელიგენციამ.

ხალხმა შეიგნო ნიკოლაძე და დაათვა იგი. ინტელიგენციის ერთი ნაწილი კი დღესაც მისი შვირდავი და მამა გუბელია. როცა შარშან ჩვენმა გაზეთებმა სიხარულის დაფი და ხალხს დაჭერეს ნიკოლაძის პასუხის გეგმაში მიტოვების შესახებ, იმ დროს ჩვენი ხალხი გულწრფელად სწუხდა ნიკოლაძის სვედრს და მის თავზე დატყობილ უსამართლობას. ჩვენს უგულვალთაგან აშკარა გახდება, რომ ნიკოლაძის პასუხის-გებაში ჩაგდება არის მისი პირადი მტრების ინტრიგა და თანაზობა. დარწმუნებული ვარ რომ ნიკოლაძე მალე გამართლებს თავს, გაჭირება ბუშტივით ეს სამარცხვინო ცილისწამება და შერცხვენილა დარჩებიან მისი ბინძური მტრები.

— „წავიღეთ, დაგატარებ ფოთს“, მითხრა ნიკოლაძემ და მომხვია ხელი. ჩვენ ჩავსხედით ეტლიში და გავეწიეთ სასაკლავოებს. შემოდგომის საამური შხე და ბუნების სიწინარე ატობდა მდამოს, ჩაუქრალეთ მოხდენილ ბეჭდარს, სდაც წებობდა სეირნობდნენ კოხტად მორთული ქალი და ვაჟი, გავიარეთ ფართო და მკვიდრად მოკირწყლული ქუჩები, რომელთა ნაპირებს ამოხდა ღამაზი სახლები და ეზოები, ცოტა ხანით და მიუხლოვდით მდ. კაპარტინას, რომელზედაც რეინის მკვარ ბოძებზე იდგა საკმაოდ მოზრდილი რეინა-ბეტონის სასაკლავო—წყლსადენით და უოველივე საჭირო ნივთებით მოწყობილი. — „ეს დაგვიჯდა ჩვენ მხოლოდ 5000 მან.“, — მითხრა ნიკოლაძემ, ქალაქს კი შემოსდის წლიურად ამისაგან 3000 მანეთით. მე კი შევანა, რომ ეს შენობა მისი მოწყობილობით დაჯდა არა ნაკლებ ათი-ათასისა. აქედან ჩვენ წავედით პატარა წყლსადენის სახანავად რეინის პირას, სდაც ელექტრო-მოტორის შემწყობით რეინში ჩადგმულ კოლექტორიდან ამოდის საკმაოდ წმინდა წყალი, გროვდება მდღა აუზში, აქედან კი ბოჩკებით გააქვთ მცხოვრებთ, რისთვისაც იხდიან 2 კანკის თითო ბოჭკაზე. აქ ბ. ნიკოლაძემ წამიკითხა მთელი ექვტა კოლექტორების უბირატესობაზე და საჩერებელ აუზების და ფელტრების უფარვისობაზე, რის დასამტკიცებლად წამიყვანა და მჩვენს ინჟინრების მიერ გაკეთებული წყლსადენი საჩერებელ აუზებით და ფელტრებით, რომელიც უხის ქალაქს ძვირად, თხოვლობს დიდ ხარჯებს და რომლიდან ხმარობენ წყალს უმთავრებდად გუმები.

შემდეგ ბ. ნიკოლაძემ მჩვენს ქალაქის ელექტრონის სდგური ორი დიზელის მანქანით, თითო 40 ძალისანი. ჩემს კითხვაზე ბ. ნიკოლაძემ ამხსნა, რომ თითო კილოვატი უჯდება ქალაქს არა უმეტეს 6 კაპ. ქუთაისში კი კერძო მწარმოებლები ეიდან 25 - 30 კაპ. იქვე მორე განყოფილებაში სდგას უმთქმელთ ორი ოთხის ძალისანი დიზელის მანქანა, რომელთა და-

ნიშნულება იყო ელექტორის ამოდრეება, მკვრამ ზოგერთი პირის ინტრიგების წყალობით ქალაქის ელექტორი ეს ორი წელია უმთქმელად დგას, და 600000 მანეთიანი ქონება მკვდარ კაპიტალად დგას.

— „აი რა მიუკვს ჩემს მტრებმა! რა ზიანი მიანენეს ქალაქს ჩემი პირადი მტრობით. ორი წელიწადია, რაც გაჩერებულია ეს ჩვენი ელექტორი“, მითხრა მწარე ბოძით ნიკოლაძემ და მიმითითა რეინის მდღა და როულ ნაშენებზე შაკი ზღვის პირად, როცა მის სახლოვეს გაჩერდა ჩვენი ეტლი. აქ მე გავიგე საქმის მთელი ისტორია. დღეს კი საბედნიეროდ ამ ინტრიგებს ბოლო ელება და მალე ელექტორი მოქმედებას შეუდგება, მალე გახდება დამატებითი მუშაობა.

ბევრი რამ საკულისხმო ვნახე ფოთში ბ. ნიკოლაძის წყალობით, მკვრამ უგულვალე უფრო შესანიშნავი მათ შორის არის თვით **ნავთსადგური**. ეს ნიკოლაძის უუსაყვარლესი პირშია შეიღობა. ეს ფართო კედლებით შეზღუდული ზღვის საკმაოდ ვრცელი კუთხე ის პასარია, რომელიც აცხოველებს ფოთს; ეს ის ძვირფასი საუნჯეა, რომელიც ამდიდრებს ამ ქალაქს. აქ მწებობივ სდგას თვით ნაპირებთან 15-დი ოკეანის უზარ-მზარნი გემი, აქვე იწებობა რეინის გზაც, ვატონებს მოაქვს ან გააქვს საქონელი. აქვე ვრცელი საწებობი, აწებობა ბაქნებზე შაკი ქვის, პურის, ცემენტის და სხვა საქონლის გორები. ერთი სიტყვით, ფოთი წააგავს პირველ-ხარისხოვან ბოძას. აქ სდღეს მუშაობა, აქ სდღეს სიცოცხლე. „ნიკოლაძემ დაღუპა ფოთი; გააძახიან ჩემი მტრები. რამდენად დაღუპულია ფოთი, თვითონ ხედავ შენის თვალთ. ექვს მილიონმდის დაჯდა ეს ნავთსადგური, ჭერ კიდევ დაუმთავრებელია. კიდევ საჭიროა 2 — 3 მილიონი. მამინ 30 დიდი გემი თამაზად გაიშლება და მოთავსდება პორტის ნაპირებზე და მიიღებს საქონელს. მამინ ფოთი თავის პორტით ბევრად აჯობებს ბათუმს, დაედრება ადესს და თეოდოსიას. ეს მილიონები კი ხაზინას გამოავართვი, პეტრებურგიდან ჩამოვიტანე. აქ ფოთს ერთი გროშიც არ დაუხარჯავს. თვით ფოთს ამ ორი წლის წინად შევძინე წლიურად 30 000 მნეთი საფუთო გადასახადის სახით, რითაც უნდა გავადილოთ ელექტორი და დაუფართო უოველივე სხვა ხარჯები. დღეს ქალაქის ფული დგას ხაზინაში 700 000 მანეთამდის რომელსაც ამ დღეებში მივიღებთ ქალაქის საჭიროებისათვის. ქალაქს შესანიშნავი პორტი აუშენდა, სული ჩაედგა, საქონლის გატან-შემოტანის ბერკეტი აქით გადმოხარა, ქალაქი წინ წავიდა, გზები და ხიდეები გაუკეთდა, აუშენდა წყალ-სადენი, „კონკა“ და ელექტრონის განათება, მიეცა უოველ-წლივ 300000 მანეთი, საფუთო გადასახადის სახით და უოველივე ეს

მისდა ჩემის მეტადინობით. ჩემი შტრები კი გაიძახინა: ნიკოლაქმ დაღუბა ფოთითა, — დასთავურა მან მწარე დამილით და მიეტა რაღაც ფიქრს...

ნასადილეის ჩემი სსხელთვანი თანამგზავრი დამე- თხოვა ორი საათით და შევიდა მისსვერებულად თავის კო- მუში.

უკვე 6 საათი სრულდებოდა, რომ მივსხლოვდი ნიკო- ლადის ბინას. მსუე კიდეც ჩასულიყო და რაღაც სოცნე- ბო ვფიქროვდი ფერით შეელება ცის გუმბათი. ჩემი წინ ღაზღაზებდა ფართოდ გაშლილი რიონი, ვით გამდნარი ხალასი თქრო და ეს მშვენიერი მდინარე მწვანე სამო- სით თუ ტურფა ხეებით გარემოცული წააგავდა მძინარ ქალწულს, რომლის უმანკო სახეზე აფრქვევენ ნაზოვან დამილს სოცნებო სიზმრები. მხიბლავდა შიტაცებდა თავისკენ ეს ფეერული სანახაობა, მადლიერება გულში ჩემი ურმობის სიზმარეთის ხანას. გულს გაქანდა საამო ფანტაზია. ამ დროს დამეფიქრებდა ვეველაიერი, შევტრ- ფოდი მხლოდ ამ ბუნების სიდიადეს და მშვენიე- რებს...

ოჰ, მშვენიერი ხარ საქართველოს ბუნებავ, რომ ხალხიც შესივრი გავადეს! გავიფიქრე გულში და მივ- ბრუნდი კოშკისკენ. ელექტროს სინათლეზე სარკმელთან დაგინახე ბ. ნიკო, გაღუშლია წიგნები და ჩარღმავებულა. ვინ იცის რაზედ ფიქრობდა ამ დროს მისი მადლი გონება, რა ახალ პროექტს ეაღერებოდა მისი შემო- ქმედა ნიჭი! დაბდიდან შევტრფოვდი ამ იშვიათ მახუცს, მის მოღუშულ წარბებს, მის ჩაფიქრებულს ჭკვიანურ სახეს და ვამბობდი ჩემად: ნეტა იმ ქალაქს, რომელსაც ჰკავს შეინითანა მესვეური შეინითანა მზრუნველი და მო- ურავი! სსხელთვანო ნიკო, შენ ხარ ახალი ტიპის ადა- მინი, ევროპელი ქართველი და ის შირველი შერცხა- ლი, რომელიც მეტად აღრე მოკვლინე შენს ბედარულ სამშობლოს. შენ გტანჯავს ზამთრის სუსხი, მაგრამ შენ წინამორბედი ხარ გაზაფხულის, ახალი ხანისა, იმ მომ- ქმედ ნიჭიერ ახალგაზდობის რომელიც ევროპა-ამერიკის სსმეცნიერო ცოდნით და ტექნიკით შეიარაღებულნი მოე- ვლინებთან ჩვენს სამშობლოს და სურთოთ ძალ-დონით შეებრძოლებთან ძველს დახვსებულ რუტინას, მონურ სულს, ჩინოვნიერს ახატაის და მედგრად დაატრიადე- ბენ ახალი ცნობების ჩარხს, ელექტრონის სსშეაღებით შექმნიან ჩვენში ახალ მრეწველობას და შეურნეობას, გააძლიერებენ კომერციას, აავსავებენ ახალ კულტურას და მით მიაღწევენებენ ქართველ ერს თავის სსურველ მიზანს, იმ სანეტარო წაღკოტს და იმ დიდებულ მსეს, ურომლისოდანა ია ხმების, ვარდი ჭკნების...

ბატონებო! კმარა ოცნება! კმარა შეტაფიზიკა და აკადემიური მსჯელობა! კმარა იხმები და ბავშური უტო-

ზიები! დროა გადაიქცეს და გამოფხიზლება! დროა სო- ციალიზმის ბურნიდან გამოსვლა! დროა შევიგნოთ სი- ნამდვილე და ვაწარმოვოთ რეალური პოლიტიკა! დროა შევიგნოთ ჩვენი ერის ტკივილები და ვიმოქმედოთ თან- ხმობით და შეტნებულად. ჩვენი ხსნა ცოდნაშია. ჩვე- ნი ერის მომავალი ბედნიერება ტექნიკა-ინდუს- ტრიის შეძენასა და განვითარებაშია... ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე, მეტი მუშაობა მოქმდე- ბა! აი რა უნდა იყოს ჩვენი დევიზი, თუ კი გვსურს ვახსნათ თავი დაღუპვისგან.

ოიონელი.



## ფინლანდიის სემის იუბილეი

წარსულ თვეში ფინლანდიამ დიდის ზემით ილღესასწაულა 50 წლის იუბილეი თავისი სემისა, რომელიც იმპერატ. ალექსანდრე II მოიწვია 1863 წ. სემის არსებობა უფრო ძველ ხანას ეკუთვნის. პირველი სემი, მოწვეული რუსეთის ბრძანებლო- ბის დროს, შეიკრიბა ბოროგოში 15 მარტს 1809 წელს. ალექსანდრე I, რომელმაც შეიარჩინა ფინლი- ანდიას მისი განსაკუთრებული უფლებანი, განამ- ტიცა იგი, როდესაც სემი გახსნა. „მე, — წარ- მოსთქვა იმპერატორმა, — აღვითქვით შეგანარჩუნოთ თქვენი კონსტიტუცია, თქვენი ძირითადი კანონე- ბი. დღევანდელი თქვენი აქ შეკრება ცხად ჰყოფს ჩემი აღთქმის ასრულებას.“ მაგრამ ყველა ეს აღ- თქმა და დანაპირები კანონმდებლობის გარედ დარ- ჩა. როგორც ალექსანდრე I, ისე ნიკოლოზ I მეფობის დროს სემი აღარ მოუწვევიათ სრული- ად, თუმცა იმპერატ. ნიკოლოზ I ტახტზედ ასვლის დროს კვლავ აღუთქვა იგივე და მხოლოდ ალექ- სანდრე II დროს კვლავ აღსდგა მკვდრეთით სე- იმი.

18 ენკენისთვის 1863 წელს იმპერატორმა პი- რადათ გახსნა სემი გელსინგეფორსში. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მომავალ რეფორმათა და „ძირითად კანონთა“ ახალი პროექტის შედგენის დაპირება იყო. „ვტოვებთ რა ხელშეუხებლად სა- კონსტიტუციო მონარქიის პრინციპს, რომელიც შეუთვისებია ფინლიანდიის ხალხს და ყოველი მისი კანონისა და დაწესებულებისთვის თავისი ბეჭედი დაუხვამს, მე, — ამბობდა იმპერატორი, — მსურს გა-

ვაფართოვო ახალ პროექტში ის უფლება, რომელიც სეიმს ეკლუზიის—ზომა და რაოდენობა გარდასახადებისა (НА ТОГОВЪ), როგორც აგრედვე უფლება კანონების პროექტების წარმოდგენისა, რომლითაც სეიმი სარგებლობდა წინად; ამასთანავე მე ვიტოვებ ინიციატივას ყველა იმ კითხვებში, რომლებიც შეეხებიან ძირითად კანონების შეცვლას. სეიმის ახალი წესდება დამტკიცდა 1869 წ. და იმის ზეგავლენით მშვიდად მიმდინარეობდა თითქმის ოცდაათი წელიწადი ფინლანდიის პოლიტიკური ცხოვრება. ფინლანდიის კონსტიტუცია მტკიცედ იყო დაცული, და პატარა თავისუფალი მხარე ცხადს მაგალითს უჩვენებდა უზარ მახარქედ-მოხრილ რუსეთს თავისუფალ დაწესებულებათა უმჯობესობისას. მაგრამ 1890—1899 წლებში, როდესაც შიდა რუსეთში რეაქცია უაღრესად განვითარდა, იყო რამდენიმე ცდა, თუმცა თითოული და სუსტი, ფინლანდიის კონსტიტუციის დარღვევისა. უკვე იმ დროს დაიბადა აზრი „საერთო სახელმწიფო კითხვათა“ განსაკუთრებით გადაწყვეტის საჭიროებისა; პეტერბურგიდან სულ რამდენიმე საათის სავალზედ მყოფი ფინლანდიის სილაღე შეურიგებელ მოვლენად ეჩვენებოდათ რუსს რეაქციონერებს.

1899 წლის 3 თებერვლის აქტი, რომელსაც წინ უძღოდა ზობრიკოვის დანიშვნა ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორად, პირველი თამაში ნაბიჯი იყო ფინლანდიაში პოლიტიკის ახალი გზისა. ამან მიაყენა ფინლანდიის კონსტიტუციას დიდი ზიანი, უსემოდ მოახდინა მასში სერიოზული ცვლილებანი. გამოცხადდა, რომ ყველა იმ კითხვებში, რომელიც უმაღლესი მთავრობის მიერ მიჩნეული იქნება საერთო სახელმწიფოებრივად, სეიმს ექნება მხოლოდ სათათბირო ხმა, რადგანაც ამგვარ კანონის ტექსტი, სეიმის მიერ მიღებული, შეიძლება შეცვლილი იყოს დამტკიცების დროს. ამ აქტმა დიდი აღელვება გამოიწვია ფინლანდიაში. ფინლანდიის მოქალაქეებს უქვეშევრდომილეს მიმართვაზედ ერთი კვირის განმავლობაში ნახევარ მილიონზედ მეტმა კაცმა მოაწერა ხელი. სეიმი იმ სახიფათო დღეებში ხალხთან ერთად მოქმედებდა. იმან თაჰამად და ცხადად უჩვენა მთავრობას თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, რომელიც ერთხმად იყო მიღებული, რომ 3 თებერვლის აქტი ეწინააღმდეგება ფინლანდიის კონსტიტუციასო. ეს მოხსენება და ყველა წოდების თავმჯდომარეთა სიტყვები, რომლებიც წარმოსთქვეს 1899 წ. სეიმის დახურვის დროს, დარჩება ფინ-

ლანდიის ხალხის წარმომადგენელთა ისტორიაში შესანიშნავ ძეგლად, თუ წოდებრივმა, არჩევნების დაძველებულ კანონზედ დამყარებულმა დაწესებულებამ, როგორ შესძლო ერის ცხოვრების გაჭირვებულ მომენტში ამაღლებულიყო ხალხის ქეშმარიტ წარმომადგენლობამდის.

1904 წელს, მთავრობის პოლიტიკამ ფინლანდიის შესახებ ფერი იცვალა. დიადი ამბები ხდებოდა რუსეთში, მათმა ტალღამ ფინლანდიასაც გადურბინა, და 1905 წლის 4 ნოემბერს გამოცხადდა მანიფესტი. სეიმის არა ჩვეულებრივი კრება მოიწვიეს. ამ კრებას უნდა შეედგინა სეიმის ახალი წესდება ფარულ, საყოველთაო და პირდაპირი კენჭის ყრის საფუძველზედ, უნდა შეედგინა კანონ-პროექტი ბეჭდვის თავისუფლებისა, კავშირებისა, კრებებისა და მთავრობისაგან სეიმის წინაშე პასუხის მგებლობის შესახებ. ახალი წესდება და არჩევნების კანონი, რომლითაც ქალებს ეძლეოდათ სააჩვენო უფლება და მხარეში ამყარებდა არჩევნების პროპორციონალურ წესს, დამტკიცდა კიდევ 7 ივლისს 1901 წ. სეიმის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა. მთელს ევროპაში ის ყველაზედ უფრო დემოკრატიული პარლამენტი ხდებოდა.

ახალ კანონებზედ დამყარებულ სეიმის პირველი წლები იყო და არის გაუთავებელი ბრძოლა ფინლანდიის კონსტიტუციასა და მის მოქალაქეთა უფლების დასაცავად. „ჩვენ მოწმენი ვიყავით, — წარმოსთქვა შარშან მორიგი სეიმის გახსნის დროს ტალმანმა სვინხუვუდმა, — როგორ იჩაგრებოდა მოქალაქეთა თავისუფლება და მათი უფლებანი, როგორ გამოიცა ახალი კანონები და ბრძანებანი, რომლებიც ჩვენ კანონმდებლობით უფლებას არღვევდნენ. აზრად აქვთ დაანაწილონ ჩვენი მხარე და ჩვენი ხალხი. ფინლანდიის ხალხის მოვალეობაა არ დაემორჩილოს მისი პოლიტიკური ავტონომიის ამ დარღვევას“. მთავრობისა და სეიმის ეხლანდელ დამოკიდებულობის გამო, უკანასკნელის მუშაობა უნაყოფო ხდება, მაგრამ ფინები მაინც ისევ მტკიცედ ადგანან თავისს აზრს და სეიმში გზავნიან ისევ ოპოზიციის წარმომადგენელთ, რომლებიც მტკიცედ იცავენ ფინლანდიის თავისუფლებასა და მამა-პაპურ უფლებათ. და ეს პოლიტიკური სიმტკიცე საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ 50 წლის სიცოცხლესა და შრომას ფინლანდიის პარლამენტისთვის ფუჰად არ ჩაუვლია.

ნარი.

# სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრება ქ. კიევში

წელს ქ. კიევში აუარებელი დარგის სრულიად-რუსეთის წარმომადგენელთა კრებები მოხდა. მარტო ენკენისთვეში ერთს დროს ოთხი კრება იყო: ქლაჩების წარმომადგენელთა, ცეცხლ-მჭობელთა, მეურნეთა და მეფუტკრეთა ამიტომ ეს უკანასკნელი სხვებმა დასწრდილეს და მან როგორღაც უყურადღებოდ ჩაიარა. ჩვენ გვსურს აქ მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს მისი ზოგიერთი დღე-ღამეები.

რამდენიმე მოხსენების წაკითხვის შემდეგ, კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო დაარსდეს: მეფუტკრეთა საზოგადოების კავშირი, მეფუტკრეთა თათბირი, რომელშიაც შევიდნენ სხვა და სხვა მეფუტკრეობით დაინტერესებულ და ამ საქმის მკოდნე ჯგუფების წარმომადგენელნი, როგორც მაგ. ერობის წარმომადგენელნი, საზოგადოების წარმომადგენელნი, ინსტრუქტორები, სპეციალურ მეფუტკრეობის გამოცემათა რედაქტორები და სპეციალისტები; და იშუამდგომლოს მიწადმოქმედების დეპარტამენტის მთავარ გამგესთან, დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც მეფუტკრეებს დაეხმარება. ამ კომიტეტში ორი მესამედი წევრებისა უნდა არჩეულ იქნას სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრებისაგან. კრებამ ამასთანავე აირჩია კრებათა მომწყობი ბიურო.

შემდეგ წაიკითხა მოხსენება კ. გორბაჩევი „კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან საცდელი საფუტკრე განყოფილების ორგანიზაციის საჭიროების შესახებ“, შემდეგი რეზოლიუციით: 1) კრება მხარს უჭერს კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოების შუამდგომლობას—კავკასიაში საინსტრუქტორო მოღვაწეობისთვის საჭირო საშუალება გადაიღოს. 2) კრება სასურველად სცნობს კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან მეფუტკრეობის განყოფილების მოქმედება გაფართოვდეს; სასურველად სცნო, რომ ამ მეფუტკრეობის განყოფილებას მოქმედება უკავშირდებოდეს ადგილობრივ მეფუტკრეთა საზოგადოებას: და 3) კრებამ სასურველად სცნო, რომ ამ მეფუტკრეობის განყოფილებამ დააარსოს საჯიშო დედა-ფუტკრების სანაშენო (ПИТОМНИКЪ).

## მეფუტკრე.

# „სახ. გაზ.“-ის ახალი სიტყვა

ბ. ა. ჭუმბაძე „სახალხო გაზეთის“ № 1217 ფურცლებზედ მთელს წერილს სწერს, რომ გამართლას მის მიერ შემოტანილი ახალი სიტყვა—ცივალი, რაც უნდა აღნიშნავდეს რუსულს სიტყვას—ХОЛОДИЛЬНЫЙ. ზირადად ჩვენ არ ვეთანხმებით მის განმარტებას და ამას აღსანიშნავს. ჯერ ერთი რომ, რა სიტყვიდან უნდა იხმართ რუსული ცნება—ХОЛОДИЛЬНЫЙ ქართულად იგი მაინც თარგმანი გამოვა, თუ თქვენ ამ ცნების შინაარსის ქართულად თქმას თარგმნას დაარქმევთ. ჭუმბაძე ამბობს, რომ სიტყვები — „სცივე ვაგონი“, „საყინულე ვაგონი“, „გამეინავი“, „გამცივი“, სწორედ ზირადად თარგმანია რუსული სიტყვისა; არ ვიცით ХОЛОДИЛЬНЫЙ რომ ზირადად ვთარგმნოთ „საყინულე“ ან „გამეინავი“ როგორ გამოვა. ჩვენის აზრით, ეკლას ეს მხოლოდ იმის ცდაა, რომ ამ ცნების შინაარსი ქართულად სთქვას, როგორც აგრედე თვით ბ-ნი ჭუმბაძის სიტყვა „ცივალი“. თორემ მაშის ხომ სიტყვა „ცივიც“ ზირადად თარგმანი იქნება რუსული სიტყვისა—ХОЛОДЪ რაც შეეხება ბ-ნი ა. ჭუმბაძის თვით სიტყვას—„ცივალი“, ეკეც უნდა შემცდარი გამოხატულება იყოს იმ შინაარსის, რომელიც აქვს სიტყვას ХОЛОДИЛЬНЫЙ. მის მიერ ნახმარი მაგალითები—„ხმალი, ზოგადი, ზირადა“ არ არის „ცივალი“-ს გვარად ნაწარმოები და არც გამოხატავს იმ გვარს ცნებას. „ხმალი, ზირადა, და ზოგადი“ გამოხატავენ თვისს კუთვნილს თვისებას, რომელიც სხვაზედ არ გადადის, ხმალი თითონ არის ხმალი და სხვას კი არ ახმალიებს, როგორც აგრედე ზირადა და ზოგადი, ХОЛОДИЛЬНЫЙ კი სხვას აცივებს—ОХЛАЖДАЕТЪ. ქართულს ენაში ამის მაგარი სიტყვების გამოხატულება გვაქვს. რაც აგრედეებს ან სადაც გრიდებინ, მაგალითად, ჩვენ ვეძახით საკრილობელს, რაც ახამებს - სახამებელს, რაც აცხველებს—მაცხველებელს, რაც აწარმოებს—მ(ა)წარმოებელს ჭსხ. აქედან, ის რაც აცივებს, ან სადაც ცივდება (ანუ ცივდება სახვაგე) უნდა იყოს საცივებელი, ან მაცივებელი, რადგანაც თავსართი ეს ორია მხოლოდ—სა და მა. ზირადად, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება ვინმართ — საცივებელი, რადგანაც მაცივებელს ან მაცივებელს ხმართებს ციებ-ცხელების თვისების აღსანიშნავად. საცივებელი ვგონებ მეტად გამოხატავს სიტყვა ХОЛОДИЛЬНЫЙ-ის შინაარსს, ვინემ „ცივალი“, და ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება „სახ. გაზეთის“-ც და სხვებზეც იხმართ ეს სიტყვა.

მართალია, ეს „ერთხელ და სამუდამოდ, უძრავად გაეინფორმებინა“ რამ არ არის, იგი მოძრაობის, ცვალებადობის და განვითარების გამტკიცებელია, მაგრამ ეს ცვალებადობა და განვითარების განცდა ეფუძნება ეთნო-სოციალურ განსაკუთრებულს კანონებს და იმას თავის დღეში არ უხვევს.

კიდევ ერთი მატარებელია შინაგანი კონფლიქტი. ისეთი სიტუაციები, როგორც მაგ. სამოქალაქო, კნუტი, ხელისუფლების, უხდა ქართველებში აგრეთვე ვიხმართო, რადგან ნაც ფრანკები, გერმანელები და ინგლისელებიც ისე ხმარობენ, როგორც რუსები, ამბობს იგი. სამოქალაქო ქართულად აგრეთვე იხმარება, და ეს რჩევა შეტანა, თუმცა ინგლისელი მწერალი ოსკარ უილდი სამოქალაქო უხდას იხმარებს, და არა სამოქალაქო, „ხელისუფლების“ ქართულად დაღ ხმარობენ, თუმცა ევროპაში კბ სიტუაცია იმიტომ იხმარება კერძო, რომ კბ სიტუაცია ევროპაში (სახელმწიფო ინგლისური) და არა იმიტომ, რომ ევროპას რუსეთიდგან გადაეღოს; ხელმწიფე შეეხება „კნუტს“, ქართულად მაგას კახიანს „შოლტას“, და ხმარებაში იგი საქართველოში მას შემდეგ არის, რაც ევროპა ხანს ახამენ ურემში და რაც რვა უილდისი გუთანი შემოუღიათ. მხოლოდ ქართული შოლტი ცოტა გრძელად რუსულ კნუტსად; მაგრამ მას ხომ არსებითი შინაგანი უხდა არა აქვს.

ბ. ბ.



სისწინათ საკითხი იურიდი. საზოგადოებაში

4 ღვინობისთვის მეფის მოადგილის კანცელარიის მოხელემ ა. ე. სტრელობიცკიმ წაიკითხა მოხსენება ხიზნობის მოსპობის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო მსმენელთ მეფის მოადგილის მიერ სათაბიროში წარდგენილი კანონ-პროექტი ხიზნობის გაუქმების შესახებ. მოხსენების შესახებ კამათი გადაიღო 18 ღვინობისათვის (პარასკევი). კრება მოხდა საოლქო სასამართლოში საღამოს 8 საათზე. პირველად ილაპარაკა ნაფიც ვეჟილის თანაშემწემ გ. თ. ჟორდანიამ, რომელიც ვრცლად შეეხო ხიზნობის ისტორიას, ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელ თანამედროვე კანონებს და მეფის მოადგილის პროექტს, კრიტიკულად შეაფასა უკანასკნელი, აღწერა მისი უფარვისობა, უსაპართლობა. ზერეღეობა და საბოლოოდ იმ დასკვნას, დაადგა, რომ ყოველად შეუძლებელია, ხსენებული პროექტი კანონად იქცეს, რადგან ეს იმდენ უთანხმოებას გამოიწვევს, რომ აწინდელი უთანხმოება მემამულისა და ხიზნის აღარაფრად გამოჩნდება.—მე თავის დღეში ხიზნობის მოსპობის წინააღმდეგი არა ვარ—განაცხადა ბ. ჟორდანიამ — მე, პირიქით იმას ვამტკიცებ, რომ აუცილებლად საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ხვეს მოკიდებულ ინსტიტუტ—მე წინააღმდეგი ვარ მხოლოდ იმ საშუალებათ, რომლითაც ამ ურთიერთობის მოსპობას აპირებს მეფის მოადგილის პრო-

ექტი. საჭიროდ მიმაჩნია ახალ, უფრო სამართლიან და ღროს შეფერებულ პროექტის შედგენა და კანონად ქცევა.

შემდეგი ოპონენტები, ნაფიცი ვეჟილები: გ. გეკელიშვილი, გ. რცხილაძე, მზარეულოვი და მეთეზოვსკი და აგრეთვე სასამართლოს წევრი საბინი სავსებით ეთანხმებოდნენ გ. ჟორდანიას ნათქვამს და თავის მხრივ ახალი მოხსენება წამოაყენეს კანონ-პროექტის წინააღმდეგ. მაგალითად, მზარეულოვმა აღნიშნა მთავრობის მიდგომილობა ხიზნობა საკითხში, (НЕИДЕКТИВНО ТИ ხიზნებისაკენ სისწორის გადახრა. სთქვა, რომ ზოგი ხიზანი ახნაურზე კარგათა სცხოვრობს, უკანასკნელი-კი გაძვალტყავებულა, ყელამდე ვალში ჩაფლული. გ. რცხილაძემ აღნიშნა, რომ კანონ-პროექტს საფუძვლად საექვო ცნობები უძვეს, მისმა ავტორებმა არ იციან, რა ზომის და ჯურის მიწა უჭირავთ ხიზნებს, რამდენია თეიუ ხიზანი, ვინ არიან ეს ხიზნები, როგორ კულტურულ მეთრნეულ პარობებში სცხოვრობენ.

ამ მოსაზრების წინააღმდეგი იყო ნათ. ვეჟ. ღამბაროვი, რომელიც სავსებით მიემხრო მომხსენებელს, ბ. ნ. სტრელობიცკის. უკანასკნელმა მოკლე პასუხი ვასცა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ოღნავადაც ვერ დაარღვია მათ-მიერ თქმული და აღნიშნული. განაცხადა, მაგალითად, მართალი, პროექტი ავტორებს სრულიად უტყუარი ციფრები არ უკავიათ ხელთა, მაგრამ რა გაეწყობა?! ამხვე მეთო მასალა ამ უამად არ მოგვევობება და რეფორმის გადადება კი ყოველად შეუძლებელია. დასასრულდ გ. ჟორდანიამ განაცხადა სურვილი შემდეგ კიდევ საკუთარ რეფერმატის წაიკითხვისა იმავ თემაზე. რაკი გამოიკვია, რომ ბ. სტრელობიცკი მალე პეტერბურგს მიემგზავრება, საცა სახელმწიფო სათაბიროს აგრარულ კომისიას უნდა მოახსენოს ხიზნობის მოსპობის კანონ-პროექტი, შემდგომი კრება დაინიშნა პარასკევს 25 ოქტომბერს.

კრება მოხდება 8 საათზე საოლქო სასამართლოში.

კრებაზე დასწრებ ყველას შეუძლია. კრებაზე თავის აზრის გამოთქმის სურვილი უკვე გამოუცხადებია სხვათა შორის ვეჟილ ი. ი. ნატროვიცის.

ვურჩევთ ყველა იმას, ვისაც აინტერესებს ხიზნობა საკითხი, ხსენებულ კრებას დაესწრნენ.

ღამსწრე.


რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო


## საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასნაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub> ღმელტინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.